ი 60/1581 PX 4844/1.

ვინაიდან სკოლის მიზანია როგორც ფართო განათლების მიცემა, აგრეთვე ეროვნული გამოცდებისათვის მომზადებაც, უფროსკლასელები რეგულარულად გაივლიან უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის გაძლიერებულ კურსს.

სკოლის დირექტორია — დიპლომატიური აკადემიის პრორექტორი, პროფესორი-ამერიკანისტი თამარ ცინცაძე

აკადემიის რექტორია პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დიპლომატიური აკადემიის სკოლა-ლიცეუმის საკვირაო სკოლა

სკოლის და აკადემიის მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზ. (ყოფილი პავლოვის) №34, მეტრო „დელისთან“ („გოცირიძე“).
ტელეფონები: 39-81-72, 39-04-94,
23-23-38, 877 46-10-38
ელ. ფოსტა: tamriko@mail.com
ვებ-გვერდი: www.diplomaticacademy.ge

საკვირაო სკოლა იმუშავებს დიპლომატიური აკადემიის შენობაში შაბათ-კვირას მოსწავლეების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ლექციები წაიკითხება ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე თვალსაჩინო მასალების თანხლებით (ვიდეომასალები, დიაფილმები, პაუერ-პოინტის პრეცენტაციები, პროეცირებული მასალა და კინომასალები, ალბომები და სხვა). ლექციებს წაიკითხავენ დიპლომატიური აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები, მოწვეული ცნობილი სპეციალისტები. ფართო სპექტრის საგანმანათლებლო მასალა იქნება წარმოდგენილი შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

1. ხელოვნება, ესთეტიკა, მსოფლიო კულტურა და ლიტერატურა — ქართულ ენაზე
2. მსოფლიო ხელოვნება და ლიტერატურა, საერთაშორისო ეტიკეტი (რუსეთი, დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთი) — რუსულ ენაზე
3. ქვეყანათმცოდნეობა, ინგლისური ენა, ეტიკეტი — ინგლისურ ენაზე
4. ფსიქოლოგიური ტრენინგი პიროვნების განსავითარებლად.

იმუშავებს სხვადასხვა წრე — ცეკვის, კინოხელოვნების, დრამატული, ფერწერის, გობელენების ქსოვის და ა.შ.

ყოველი მოსწავლე მოისმენს აღნიშნული პროგრამების მასალას კომბინირებული გზით, დღეში 2-3 ლექციის და დისკუსიის სახით (პლიუს წრეები). კვირაში ორ დღეს იმუშავებს მოსწავლეთა ორი ასაკობრივი ჯგუფი — საშუალო და უფროსი.